

# Arabesque

„არაბესკი“ შურონალი ბალეტზე

No3'06





ჩვენ ვზრუნავთ



# Arabesque

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე

No3'06

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის ჟურნალი



საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიავილი

02

BALLET-INFO

04

ზრწყინვალე ქართული ვარსკვლავის რეპორაჟიჟური სეხსლი

06

ახალი სეპეტაკლეგი: „რომეო და ჟულიეტა“

09

ეზგანი გარასიფეოსათვის მერკუსიუს პარტია შინეზანად ახლოვალის!

10

ახალი მხეზედრა ეზტონის ქორეოგრაფიასთან

10

მონარხეზული ქოშეგი, ყვითალი ტრიკო და მასდური პარიკი

11

დენის ზონარი სანიტარეოს სეპეტაკლს გევირლეზა

12

ახალ სეპეტაკლს ვანელივი აფორეზს

14

თბილისში ზარონევილი იღეგეზა

14

ეზ კლოგოგგი: „ზარონევილის მოქარეგეზი დიდი ზარონევილი“

16

რატომ არ წევილა ნათია სირიხილაქი ჟან ფრანკო ფარესთან სეგეზოდ

17

ახალი სეპეტაკლეგი: TCHAIKOVSKY PAS-DE-DEUX

18

მაია ილუარიქის გეგოსვლას ყოველთვის ელიას

19

ბალანეინის მხერულეზა – დიდი გეგოსლა ბაზგიელ გოგუასათვის!

20

ბალეტის მეგობართა საზოგადოეზეგი

თბილისის ასეთი ზაფხული არ ახსოვს. აგვისტოს ხევატი ზენიტის აღწევედა. და როცა მთელი ქალაქი ზღვისა და მთის კურორტებს აფარებდა თავს, საბალეტო დასი და პედაგოგ-რეპეტიტორები ყოველდღიურად იკრიბებოდნენ და ახალ საპრემიერო სეპეტაკლებზე მუშაობდნენ დანიიდან და ბრიტანეთიდან ჩამოსულ დამდგმელ ქორეოგრაფებთან ერთად. საბალეტო დასმა ორი ბალეტი მოამზადა – ეშტონის „ორი მტრედი“ და ბურნონვილის „კონსერვატორია“. ორივე მათგანი ჩვენი მაყურებლისთვის სიახლეა, ისინი თბილისში არასოდეს დადგმულა (არც ყოფილი სსრკ სივრცეში).

ეს 155-ე თეატრალური სეზონის პირველი პრემიერა იქნება. დასი ახალ სეპეტაკლებს ამ სეზონზე კიდევ რამდენჯერმე წარმოადგენს. ასე, რომ წინ მრავალი სასიხარულო დღე გველის.

ჩვენი ჟურნალის მთავარი საკითხავი სწორედ საპრემიერო სეპეტაკლებს ეძღვნება. მის ფურცლებზე შეხვედებით დამდგმელ ბალეტმაისტერებს, დეკორაციისა და კოსტიუმების მხატვრებს, წარმოდგენა შეგექმნებათ ბურნონვილის ქორეოგრაფიის სტილზე.

ახალ პრემიერამდე საბალეტო დასმა უკვე მოასწრო დონეცკი გამართულ XIII საერთაშორისო საბალეტო ფესტივალზე გამოსვლა და საკმაოდ წარმატებულად. დონეცკიდან დაბრუნებისთანავე კიდევ რამდენიმე სეპეტაკლი წარმოადგინეს, პარალელურად მიმდინარეობს რეპეტაციები. მოკლედ, თეატრში ბოლოქარი ცხოვრეზაა, რომლის ასახვის მცდელობას „არაბესკის“ ამ ნომერშიც ვეცადეთ!

გარეკანზე: სცენები ბალეტიდან „რომეო და ჟულიეტა“. პირველ გვერდზე: ჟულიეტა – ლალი კანდელაკი, რომეო – ირაკლი ბახტიძე; მესამე გვერდზე: ჟულიეტა – ანა მურადელი; მეოთხე გვერდზე: ჟულიეტა – ნინო გოგუა, რომეო – ლაშა ხოზაშვილი; ლადო ვანჩაძის ფოტოები.

რედაქტორი ილია თავეპერიძე  
ტექნიკური რედაქტორი ქეთევან ნოზაძე  
დიზაინი გენიკ დანელიანი


ნომერზე მუშაობდნენ: ნინო მდევაძე, ნათია ჩაჩუა. გამოყენებულია ლადო ვანჩაძის ფოტოები.

თბილისი, რუსთაველის გეგე. 25, ტელ.: 98 32 54, 99 93 64  
[www.ballet.ge](http://www.ballet.ge)

**გაიხსნა 155-ე სეზონი**

21 სექტემბერს საბალეტო დასმა 155-ე თეატრალური სეზონის პირველი წარმოდგენა გამართა. მაცურებელს შესთავაზეს ერთ-მოქმედებიანი ბალეტების ორი პროგრამა – ბერნსტაინის „ლეა“, ვივალდის „Green“, „დონიცეტი-ვარიაციები“ (ბალანჩინის ქორეოგრაფია) და „ნამი გარდასახვამდე“, „აპოლონ მუსაგეტი“ და „სიზმრები იაპონიაზე“.

სპექტაკლის დაწყებამდე მაცურებელს საშუალება ჰქონდა წითელ დარბაზში დაეთვალიერებინა ლადო ვაჩნაძის ფოტონამუშევრების გამოფენა, რომელიც საბალეტო დასის ბოლო ორი სეზონის შემოქმედებას ასახავს.



**საბალეტო ფესტივალის  
ლონესკი**

ლონესკოში გაიმართა XIII საერთაშორისო ფესტივალის „მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები“, რომელშიც პირველად მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. ფესტივალის ორგანიზატორი ცნობილი მოცეკვავე ვადიმ პისარევიცა, რომელიც თბილისელ მაცურებელს კარგად ახსოვს. ის, ნინო ანანიაშვილთან ერთად, არაერთხელ გამოსულა ჩვენი თეატრის სცენაზე.


საბალეტო დასმა, რომელსაც ფესტივალის გახსნის პატივი ერგო, ერთ-მოქმედებიანი ბალეტების ორი პროგრამა წარმოადგინა – პირველ დღეს

„Green“, „დონიცეტი-ვარიაციები“ და „ლეა“, მეორე დღეს კი – „ნამი გარდასახვამდე“, „აპოლონ“ და „სიზმრები იაპონიაზე“. სპექტაკლებს არნახული წარმატება ჰქონდათ. ვადიმ პისარევიცა პრესასთან საუბარში აღნიშნა: „იმთავითვე ვიგრძენი სამხატვრო ხელმძღვანელის ტალანტი. ასეთი ქორეოგრაფია მხოლოდ პროფესიულ დასს შეუძლია შეასრულოს. ძალიან საინტერესო ვარიაციებია, რთული დუეტები, შესანიშნავი სოლისტები. გზიბლავს შესრულების არაჩვეულებრივი პლასტიკა, მე ვიტყვოდი: ეს ვივალდის მუსიკის ორიგინალური გააზრებაა. ყველაფერი ნახევარტონებშია გადაწყვეტილი – ამაშია მისი განსაკუთრებული მშვენიერება!“

ადგილობრივი პრესა წერდა: „ფრთხილი მაცურებელი ყურადღებით უცქერდა სპექტაკლს, აპლოდისმენტებშიც თავიდან ფრთხილობდა. თავდაპირველად მოცეკვავეებიც თავდაჭერილები იყვნენ, შემდეგ კი უფრო თამამნი გახდნენ. ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლები აღმოჩნდნენ მონდომებულებიც და დიდი ტალანტის მქონეიც“.

**ლიდ თეატრი**

231-ე სეზონი დიდმა თეატრმა 1 სექტემბერს გახსნა. სპექტაკლები, რეკონსტრუქციის გამო, ისევ ახალ სცენაზე იმართება. თეატრის საბალეტო დასი ამ სეზონზე ორ პრემიერას ამზადებს. 14 თებერვალს ამერიკული ქორეოგრაფიის საღამო გაიმართება. დაიდგმება ბალანჩინის „სერენადა“, ტვაილი ტარპის „ოთახში ზემოთ“ (ბალეტი 1986 წ. შექმენა), კრისტოფერ უილდონი კი ბრიტენის მუსიკაზე დადგამს ბალეტს, რომლის სახელწოდება საბოლოოდ არაა შერჩეული. 27 ივნისს გაიმართება „კორსარის“ პრემიერა, რომელსაც საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსეი რატმანსკი დადგამს.



**სტუდენტური ასოცია**

ახალი სეზონიდან, კლასისკურ საბალეტო ხელოვნებასთან სტუდენტთა ახალგაზრდობის დაახლოების მიზნით, ყოველ სპექტაკლზე დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს უფასოდ იწვევენ. სპექტაკლებს უკვე დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო, საქართველოს ტექნიკური, სამედიცინო, თეატრისა და კინოს და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტებისა და სახელმწიფო კონსერვატორიის 700-მდე სტუდენტი.

ირაკლი ხრიკაძემ, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი: „ეს აქცია აუცილებელი და სასარგებლო ახალგაზრდობისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო ნინო ანანიაშვილსა და თეატრის ადმინისტრაციას ასეთი საჩუქრისათვის“.

მიშა არბოლიშვილი, სამხატვრო აკადემიის IV კურსის სტუდენტი: „ძალიან ძლიერი საბალეტო დასი გვყავს. ამ აქციით ყველანი ძალიან კმაყოფილები ვართ. სასურველია, რომ ასეთი აქციები გაგრძელდეს“.

**გალა-კონცერტი**

3 ივნისს, 154-ე სეზონის ბოლოს, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა მაცურებელი გალა-კონცერტზე მიიწვია. ორ განყოფილებად წარმოდგენილი კონცერტის პროგრამა ბოლო სეზონის მანძილზე შექმნილი სპექტაკლების საუკეთესო პა-დე-დეებით იყო შედგენილი. დივერტისმენტი გაიხსნა ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფიით – „ჩაიკოვსკი პა-და-დე“, რომელიც პირველად შესრულდა. იგი თბილისში ბარტ კუკმა (ბალანჩინის ფონდის ბალეტმაისტერი) დადგა (სოლისტები: ლალი კანდელაკი და ირაკლი ბახტაძე). მაცურებლის წინაშე წარსდგნენ ლაშა ხოზაშვილი და მარიამ ალექსიძე („ამაო სიფრთხილე“), ნინო გოგუა და დავით ხოზაშვილი („ჟიზელი“), ნინო ოჩიაური და გაბრიელ გოგუა („ტარანტელა“), ლალი კანდელაკი და ირაკლი ბახტაძე („დონ კიხოტი“). მეორე განყოფილებაში შესრულდა „ჩაკონა“ (ბალანჩინის ქორეოგრაფია), სადაც სოლო პარტიები იცეკვეს – ანა მურადელმა და დიდი თეატრის სოლისტმა დიმიტრი ბელოგოლოვცევმა. გალა-კონცერტი ფიერვერკით დასრულდა.



**ქორეოგრაფიული  
სასწავლებლის  
გამოშვება**


5-6 ივნისს, ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ტრადიციული გამოსაშვები საღამო გამართა. საკონცერტო პროგრამის დამდგმელმა ქორეოგრაფმა ნუკრი მაღალაშვილმა მაცურებელს ორ განყოფილებად შესთავაზა სასწავლებლის მოსწავლეთა შემოქმედება. წარმოდგენილ იქნა „შოპენიანა“ (ფოკინის ქორეოგრაფია), რომლის დადგმა თავად ნ. მაღალაშვილმა განახორციელა. მეორე განყოფილებაში, გამოსაშვები კურსის მოსწავლეებთან ერთად, სასწავლებლის პატარა აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. შესრულდა პა-დე-დე ბალეტიდან „კორსარი“, მანდრუსის „ბოშური ცეკვა“ (ვ. ჭაბუკიანის ქორეოგრაფია), „ნეაპოლიტანური ტარანტელა“ (ტ. ბახტაძის ქორეოგრაფია), მენდელსონის „რონდო კაპრიზიო“ (ნ. მაღალაშვილის ქორეოგრაფია) და „პანადეროსი“ ბალეტიდან „რაიმონდა“.

საღამო იმედისმომცემი გახლდათ. საბალეტო დასს ღირსეული შევსება ეზრდება, რისთვისაც სასწავლებლის დირექცია და პედაგოგები ენერგიას არ იშურებენ. ამ საღამოზე მოსულმა მაცურებელმა ეს კარგად დაინახა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სასწავლებლის კურსდამთავრებულის თამარ ჯაშიაშვილის შესრულებული ვარიაციები პა-დე-დე-ში ბალეტიდან „კორსარი“, რომელიც გამოირჩეოდა ტექნიკური სისუფთავითა და ჰაეროვნებით. მას პარტნიორობას უწევდა თეატრის სოლისტი არტურ ივანოვი.

**NYC ballet**

ივლისში, ლინკოლნის ცენტრში, „ნიუ იორკ სითი ბალეს“ ტრადიციული ფესტივალი „Diamond Project“ გაიმართა, რომლის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა რამდენიმე ახალი ბალეტი. ყველაზე დიდი წარმატება ალექსეი რატმანსკის მიერ, ლეონიდ დესიატნიკოვის მუსიკაზე შექმნილ „რუსულ სეზონს“ ხვდა წილად. ცნობილი ამერიკელი ბალეტის კრიტიკოსი ჯონ აკოჩელა წერდა, რომ „რატმანსკის ბალეტში დავინახე სიცოცხლისა და სიკვდილის თემის ხორცშესხმა და ამან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე“.



**მარის ლიეპა**

წელს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა ცნობილ მოცეკვავეს მარის ლიეპას. 25 ივლისს ლატვიის ნაციონალურ ოპერაში მეშვიდეჯერ გაიმართა ლიეპას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დიდი თეატრის სოლისტებმა ილზე ლიეპამ, დიმიტრი გუდანოვმა, დიმიტრი ბელოგოლოვცევმა, მარიას თეატრის ვარსკვლავმა დიანა ვიშნევამ. 31 ოქტომბერს საიუბილეო საღამო მოსკოვში, კრემლის სასახლეში გაიმართება. საიუბილეო ღონისძიებებს ანდრის ლიეპა ხელმძღვანელობს.



ბრიტანული გაზეთის „THE DAILY TELEGRAPH“-ის  
მიმოხილველი აისინ ბრაუნი თბილისში გაიხსნა დასაწყისში  
იყოფაობდა, შეხვდა საბალეტო დასის ხელმძღვანელს და  
თავისი მოთაველითაა გაზეთში ამ საფხულს გამოაქვეყნა.

# ბრწყინვალე ქართული მხრსკვლევის რევოლუციური ცეცხლი

ამ წელს გამოქვეყნებული ორზროვანი რეცენზიები, რომლებიც მიეძღვნა რუსეთის ისეთ ძლიერ საბალეტო თეატრებს როგორცაა: მარიას (ძველი კიროვის სახ.) და დიდი თეატრები, მიანიშნებს იმაზე, რომ ძველი აღიარება მომავალში ვეღარ იქნებოდა წარმატების გარანტია. სანკტ-პეტერბურგი და მოსკოვი ურყევად ირწმუნებოდნენ, რომ სწორედ მათ ეკუთვნით ბალეტის უნიკალური სულიერი მემკვიდრეობა და რომ ისინი არიან რჩეული მოციქულები ხელოვნების ამ დარგში. სინამდვილეში კი მათი სასიცოცხლო ძალები იშრიტება. სამაგიეროდ, ყოფილი საბჭოეთის ზოგიერთ ქვეყანაში უაღრესად საინტერესო ახალი კერები ჩნდება.

საბჭოთა პერიოდში, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, სკაუტები რეგულარულად მოგზაურობდნენ საბჭოთა კავშირის ყველაზე შორეულ ადგილებში, რათა აღმოეჩინათ ნიჭიერი ბავშვები, რომელთაც უფასოდ აღზრდიდნენ. მაგ. რუდოლფ ნურიევი ციმბირში აღმოაჩინეს, ალტინაი ასილმურატოვა ყაზახეთში, ფარუხ რუზიმატოვი უზბეკეთში, ხოლო ნინო ანანიაშვილი – საქართველოში. კომუნიზმის დასასრულთან ერთად რეგიონებმა დაკარგეს მარიასა და დიდი თეატრის სკოლებთან ამგვარი მიხსლოების საშუალება. თავად ამ თეატრებმა კი აქცენტი და ორიენტაცია ჩრდილო-დასავლური წარმომავლობის მოსახლეობაზე აიღეს.

ცენტრის ინერტულობამ და რეგიონების უგულვებელყოფით გამოწვეულმა ასეთმა დამაკნინებელმა სიტუაციამ, დღესდღეობით რეგიონებს საუკეთესო საშუალება მისცა, რათა ცვლილებები შეიტანონ რუსულ საბალეტო რუქაზე, შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული თვითმყოფადობა და დინამიზმი. საქართველოს და ციმბირის რეგიონის უახლესი ამბებიდან გამომდინარე ვიგებთ, თუ რა რანგის სუპერვარსკვლავები დგანან ადგილობრივი ბალეტის სათავეში.

მარიას თეატრის პრემიერი იგორ ზელენსკი ამ შემოდგომაზე სათავეში ჩაუდგება ნოვოსიბირსკის საბალეტო თეატრს, მაშინ, როდესაც ათასობით მილით დაშორებულ საქართველოს დედაქალაქში, დიდი თეატრის გასაოცარმა ბალერინამ, ნინო ანანიაშვილმა, უკვე დაიწყო თავისი საბალეტო რევოლუცია.

ანანიაშვილი თავის ქართველ მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა თბილისში, რათა 42 წლის ასაკში, თავისი პირმშო გაეჩინა. ეს ერთგვარი პაუზა ნინომ როგორც დიდი თეატრიდან, ასევე თავისი მეორე, მშობლიური, ამერიკული ბალეტის თეატრიდანაც აიღო.

საქართველოს პრეზიდენტმა ანანიაშვილს სთხოვა სამი წლის განმავლობაში შეექმნა საერთაშორისო სტანდარტების საბალეტო დასი. ეს ეხება იმაზე უფრო პატარა ქვეყანას, ვიდრე შოტლანდიაა. შეუძლია ხუთ მილიონზე ნაკლები მოსახლეობის მქონე საქართველოს სერიოზულად ჰქონდეს საბალეტო ხელოვნების უმაღლეს ლიგაში მოხვედრის რეალური შანსი?

თუკი რომელიმე ქვეყანას შეუძლია, საქართველოს შეუძლია! მზის, ზღვისა და შესანიშნავი ღვინის მქონე ამ პატარა ქვეყანამ შვა ისეთი უმაღლესი საბალეტო ტალანტები როგორებიც არიან: დიდი ქორეოგრაფი ჯორჯ ბალანჩინი, 1930-იანი წლების მარიას თეატრის კორიფე ვახტანგ ჭაბუკიანი, დღევანდელი მამაკაცი მოცეკვავე სუპერვარსკვლავები იგორ ზელენსკი და ნიკოლოზ ცისკარიძე (დიდი თეატრი), მსოფლიოს გარშემო გაბნეული რამდენიმე ბრწყინვალე ბალერინა.

ნინო ანანიაშვილი სათავეში ჩაუდგა საბალეტო დასს, რომელიც თუმცა არ უარყოფს ძველ ტრადიციებს, მთლიანად გარდაისახა. ახლად აღმოცენებულ, ევროპული ტიპის სახელმწიფოში წინ წამოწეული იქნა ნაციონალური პრიორიტეტები, ანუ ეს არის სახელმწიფო, რომელიც ამიერიდან უარს აცხადებს შეასრულოს რუსეთის საზაფხულო სათამაშო მოედნის როლი.

ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც იურიდიული განათლება მიიღო შეერთებულ შტატებში, 2003 წელს გახდა ქვეყნის პრეზიდენტი. სააკაშვილი სატელეფონო საუბრით არწმუნებდა ქართველ საუკეთესო ტალანტებს, რუსეთსა თუ უცხოეთში, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, რათა აღედგინათ შერყეული ქვეყანა. ანანიაშვილი ამ სიაში უპირველესი იყო.

„მან მკითხრა: რა აზრის ხართ იმაზე, რომ გახდეთ ქართული ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი?“ – მიამბობდა ანანიაშვილი, როდესაც ამ წლის დასაწყისში ჩვენ ვისხედით მის ახალ, დახვეწილ, ჰაეროვან სახლში, თბილისური მდინარის პირას. „მე განცვიფრებული დავრჩი, იმიტომ, რომ კვლავ აქტიურად ვცეკვავდი და ვუთხარი: „მე ვერ შევძლებ მთელი სეზონი დავრჩე თბილისში“. მაგრამ ცოტა ხანში დავინახე, რომ ეს იყო შანსი გააკეთო რაღაც შენი ხალხისთვის. ვფიქრობდი, რომ მეთქვა „არა, მე ეს არ მინდა. მე უკვე მაქვს კომფორტული ცხოვრება“, ეს იქნებოდა სისულელე და არასწორი გადაწყვეტილება. სააკაშვილმა მითხრა: „ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რასაც თქვენ მოისურვებთ. და მათ შეასრულეს ეს დანაპირები“.

ანანიაშვილისთვის გამოიყო სამწლიანი ბიუჯეტი – შესაშური თბილისის თეატრებისთვის და კერძოდ ოპერისთვის, რომელიც საშუალებას იძლევა ყოველმხრივ განახლოს არა მხოლოდ საბალეტო დასი, არამედ ის შენობაც, რომელიც როგორც კულტურის მინისტრმა მითხრა, იქნება „საუკეთესო საბალეტო სკოლა მთელს მსოფლიოში“.

დიდ თეატრში შექმნილ საკვანძო კლასიკურ სპექტაკლებთან („რომეო და ჯულიეტა“, „შიზელი“) ერთად, ქართულმა ბალეტმა განსაკუთრებული აღმავლობით განახორციელა თავისი თანამემამულის, ბალანჩინის საბალეტო დადგმები; უფრო მეტი ესთეტიკური განაცხადით და ძლიერ მნიშვნელოვანი დატვირთვით, ვიდრე ეს განხორციელდა მარიას თეატრის წარმოდგენაში 1990 წელს. გასაოცარია, რომ ორი წლის განმავლობაში, თბილისში ბალანჩინის ცხრა ბალეტი იქნა წარმოდგენილი.

ნინომ სთხოვა ზელენსკის, რომ თბილისში გაზაფხულზე ეცეკვა ბალანჩინის „აპოლოში“. მისი რეაქცია აღფრთოვანებული იყო: „მე მინდა, რომ უფრო ხშირად ჩავიდე საქართველოში. მე იქ ვიყავი რამდენიმე დღით და ასე მგონია, რომ არასოდეს მიმიტოვებია იქაურობა“.

მოულოდნელია ქართველების სიყვარული ფრედერიკ ეშტონის ბალეტ „ამაო სიფრთხლის“ მიმართ, რომელიც თბილისელებისთვის საყვარელი წარმოდგენა გახდა. ხოლო ოქტომბრისთვის მზადდება ეშტონისათვის გამორჩეულად საყვარელი ფრანგული რომანის, „ორი მტრედის“, მიხედვით შექმნილი ბალეტის პრემიერა.

„ქართველები არ გვანან რუსებს, – ამბობს ნინო, ამას განაპირობებს ჩვენი შესანიშნავი ბუნება. ისინი ძალზე ემოციურები და ექსპრესიულები არიან, იტალიელების მსგავსად. მაგ. თქვენ ხედავთ მიმავალ ადამიანებს (ის განასახიერებს დაუდგრომელ, ემოციურ მოძრაობას), თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი ჩხუბობენ. სინამდვილეში კი ისინი უბრალოდ ამბობენ: „გამარჯობა, რა ლამაზი ქვედაბოლო გაცვია!“

„როდესაც ჩვენ ვმუშაობთ მოსკოვში, ჩვენ არ ვართ თავაზიანები. და ეს ნორმალურია. თუკი მასწავლებელი დაგიყვირებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას უყვარხარ. აქ, თუ მე ვუყვირი მოცეკვავეებს, ეს მათ ძალიან სწყინთ. მაგრამ, თუ მე ამას არ ვაკეთებ, ისინი არ მოდიან რეპეტიციაზე დროულად“.

ტემპერამენტის ამგვარი განსხვავების მიუხედავად, შედეგი, რომელიც მიღწეული იქნა მართლაც განსაცვიფრებელია. „პირველ ორ სეზონზე ჩვენ გამოვუშვით 15 პრემიერა“, – ამბობს ნინო და არწევს თავის ელენეს, 2006 წლის არანაკლებ მნიშვნელოვან მონაპოვარს, რომელიც ვალენტინის დღეს გაჩნდა. მოგვიანებით, მე ვუყურე ბალეტ „შიზელის“ პრემიერის ჩანაწერს, რომელიც ოსტატობის სერიოზული გამოცდა იყო ლამაზი ქართველი გოგონებისთვის. მათ ცეკვაში გამოსჭვივოდა დიდი თეატრისათვის დამახასიათებელი დახვეწილობა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ორკესტრსაც სჭირდება რევოლუციური ცვლილებები.

ნინო ანანიაშვილის ერთგულ მეგობარს ფადეეჩევს (რომლის სამსახურზედაც დიდი თეატრის უფროსობამ უარი თქვა 2000 წ.), ელიმება დიდ თეატრთან კონკურენციის ნებისმიერი შესაძლებლობის არსებობის შესახებ. „დიდი თეატრი იმდენად მასშტაბურია, რომ ჩვენ ვერ გავუნვეთ მას მეტოქეობას. აქ, დასში მხოლოდ 60-70 მოცეკვავეა“. ის ყველანაირად მხარს უჭერს საბალეტო ხელოვნების განახლებას ცენტრის გარეთ და ამავდროულად, როსტოვის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელია.

ანანიაშვილი მთელი პასუხისმგებლობით გრძნობს იმას, თუ რა რისკი არსებობს, როცა ქართველ მოცეკვავეებს უყენებს ამგვარ მოთხოვნებს, ითხოვს მუშაობის დინამიურ ტემპს და პრემიერას პრემიერაზე უშვებს. ასეთია მათი მკაცრი განრიგი. მომავალ წელს თეატრი, განახლების მიზნით, სამი წლის განმავლობაში იხურება და ქართულ ბალეტს დიდ ასპარეზზე, საგასტროლოდ უშვებს, რაც შესაბამისად მოითხოვს რეპერტუარს.

მოსკოვის დიდი თეატრი 230 წლისაა, ანანიაშვილის დასი – ორის, ზელენსკის დასი კი შექმნის პროცესშია. მოსკოვის სიძლიერეს საფრთხე, შესაძლოა, ჯერ არ ემუქრება, მაგრამ ისინი ყველაფრისთვის მზად უნდა იყვნენ. რეგიონები ხომ ძალებს იკრებენ!



# „რომეო და ჯულიეტა“

„რომეო და ჯულიეტას“ თბილისში დადგმის გადაწყვეტილება საკმაოდ გამომწვევად გამოიყურება. ლეონიდ ლავროვსკის ქორეოგრაფიით შექმნილი ეს მონუმენტური სპექტაკლი ტიტანურ შრომას მოითხოვს. თანაც, ჯერ კიდევ არ გაფერმკრთალბულა პირველი ლეგენდარული შემსრულებლების ხსოვნა, რომლებმაც განუმეორებელი სახეები შექმნეს ამ ბალეტში. თავად მიხეილ ლავროსკიმ, 1982 წელს, თბილისში მუშაობისას, მამის ქორეოგრაფიის მიხედვით ერთმოქმედებიანი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული პოემა დადგა. არ ვიცი, რით იყო ეს განპირობებული, მაგრამ, ფაქტია, რომ ამჯერად იგი დაეთანხმა ნინო ანანიაშვილის გადაწყვეტილებას ბალეტის სრული ვერსიის დადგმის თაობაზე, რადგან მისი აზრით, კლასიკური მემკვიდრეობა საფრთხის წინაშეა, ნგრევის პირასაა, რის ადგილსაც ახალი შედეგები, სამწუხაროდ, ვერ იკავებენ.

თავისთავად ცხადია, რომ თბილისში არავინ ელოდა ჯულიეტას გალინა ულანოვასეულ გარბენს სცენაზე; არც „ბალიშებით ცეკვის“ სიდიადე შეიძლება ზუსტად გადმოიტანო; ან ისე გადაიყარო ქერა თმა შუბლიდან, როგორც გერბეკის ტიბალდი აკეთებდა ამას. მაგრამ, ასეთი ამოცანა, თეატრის წინაშე არც იდგა. მოცეკვავეებისგან მაყურებელი დამდგმელი ბალეტმანისტერის ქორეოგრაფიული ტექსტის ზუსტ გაგებას და შესრულებას ელოდა. ამ ტექსტს კი ბევრი ცვლილება არ განუცდია. მასობრივი სცენები, ვარიაციები, ადაჟიოები, კორდებალეტის პატარა და დიდი ანსამბლების მონაცვლეობა ერთმანეთს მიყვება. სცენოგრაფია კი, რომელიც მხატვარ დავით მონავარდისაშვილს ეკუთვნის, ისეა მოფიქრებული, რომ დეკორაციის ცვლა (არადა იგი 15-ჯერ მაინც იცვლება) სპექტაკლის დინამიკას არ ანელებს, ხელს არ უშლის. გამოიყენება როგორც მთავარი, ასევე სპეციალურად შექმნილი შიგნითა ე.წ. „შექსპირისეული ფარდა“, რომლის წინ, პროსცენიუმზე, გარკვეული სცენები სრულდება. დამდგმელმა მხატვარმა, ჩვენი აზრით, კარგად გაართვა თავი დასახულ ამოცანას და შემოგვთავაზა შუასაუკუნეების იტალიის ფერადოვანი სურათი, ალორძინების ხანის მონუმენტურ ფრესკაზე აგებული მოხატულობით შექმნი-

ლი დარბაზებით, ვერონის დიდებული მოედნებით, აკლდამის მკაცრი ფერებით. კოსტიუმები სპექტაკლისათვის ვიაჩესლავ ოკუნემა შექმნა, მის შესრულებას კი ნათია სირბილაძე ხელმძღვანელობდა.

მაყურებელმა მთავარ პარტიებში სამი შემადგენლობა იხილა. თითოეულ წყვილს თავისი ხელწერა და ხიბლი აქვს.


ლალი კანდელაკმა და ირაკლი ბახტაძემ საპრემიერო სპექტაკლი იცეკვეს და საკმაოდ წარმატებულად. ლალი კანდელაკის ჯულიეტა ლირიული, შინაგანი სიმდიდრითაა სავსე. იგი ერთნაირად კარგია როგორც ლირიულ, ასევე ტრაგიკულ სცენებში. მისი ყოველი მოძრაობა აზრის შემცველია, რომელიც ზუსტად გადმოსცემს გმირის შინაგან მღელვარებას; მას უმუშავია თითოეულ შესტზე, რაც გამართლებულად და გააზრებულად შემოგვთავაზა. ბალერინა ჩინებულად ფლობს ტექნიკას და მარტო ამ სპექტაკლში როდი მოვყავართ ალტაცებაში.

ირაკლი ბახტაძის რომეო, ჩვენი აზრით, ბოლო ორი სეზონის მანძილზე, მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნამუშევარია, რომლის შესრულებას ახასიათებს პლასტიურობა, მსუბუქი ნახტომები, გააზრებული მოძრაობები. ხოლო რომეოს ერთადერთ სოლო ვარიაციამ, მანტუას სცენაში („ასეა, განა?! აღარ მჯერა ვარსკვლავნო თქვენი“), მოცეკვავის რომანტიულობა და შინაგანი მღელვარება კულმინაციას აღწევს; თუმცა ლირიულ ბუნებას ბახტაძე არც მაშინ კარგავს, როცა მოკლული მეგობრისათვის შურს იძიებს და ტიბალდთან დუელს მართავს.

ანა მურადელს პარტნიორობას დიმიტრი ბელოგოლოვცევი უწევდა. ეს ორმაგად დიდი პასუხისმგებლობა იყო ახალგაზრდა ბალერინასათვის. ბელოგოლოვცევი დიდი თეატრის პრემიერი და საკმაოდ გამოცდილი მოცეკვავეა, რომლის შესრულებას თან სდევს რუსული ბალეტის პროფესიული ხელწერა. ანამ შეძლო დამაჯერებლად ეცეკვა პარტნიორთან. მისი ჯულიეტა თავისთავადი იყო. უზომოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ბალერინას ლამაზი ფაქტურა და მოხიზვლელობა. პირველ ვარიაციას თან ახლდა ოდნავი ლელვა, მაგრამ აივნის სცენასა (პა-დე-დე) და სანოლი ოთახის ადაჟიოში ანა ახლოს იყო ჯულიეტას შინაგან სამყაროსთან, მის მიერ მუსიკალური ნაწარმოების გააზრება და ტექნიკური შესრულება ჰარმონიული იყო.

ნინო გოგუასა და ლაშა ხოზაშვილის დუეტს მაყურებელი უკვე შეეჩვია. ორთავე საკმაოდ ახალგაზრდები არიან, რასაც ამ სპექტაკლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ წყვილის შესრულებაში გამოკვეთილი აქცენტი აქტიორული პალიტრისაკენ იყო მიმართული. გრძნობების, ემოციების გადმოცემა, იმპროვიზაცია მათ კარგად გამოუვიდათ. ნინო გოგუას ჯულიეტა ცდილობდა უყურადღებოდ არ დაეტოვებინა არც ერთი შესტი, ზუსტად გადმოეცა ახალგაზრდა კაპულეტის ლირიული და ტრაგიკული სახე.

ლაშა ხოზაშვილი საკუთარ შესრულებაში ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს შესტს, მიმიკას. იგი ცდილობს ჰქონდეს საკუთარი ხელწერა. ეს ვერონის მოედანზე მისი პირველი გამოჩენისთანავე იგრძნობა. მისი რომეო რომანტიული გმირია. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჯვრისწერის სცენამ. ეს იყო ლამაზი სასიყვარულო დუეტი. ის ემოცია, რომელიც ლორენცოს კელიამი მომავალი ჯულიეტასათვის ყვავილების დაფენაში გადმოსცა ლაშა ხოზაშვილმა, ერთ-ერთი საუკეთესო სცენა გამოდგა სპექტაკლში. ლაშა




ტიბალდი – დავით ხოზაშვილი



ძალბატონი კაპულეტი – თეონა ჩარაქვინი





ძიძა – ტატიანა ბახტაძე



სცენა ბალეტიდან „რომიო და ჯულიეტა“

მერკუციოს პარტიასაც ასრულებს და თავის შეუპოვარ, მძაფრ, აჩქარებულ ცეკვაში კარგად ხსნის ამ ხასიათს.

მერკუციოს სხვა შემსრულებელიც ჰყავს – ევგენი გერასიმენკო. ვერონის მოედანზე და მეჯლისის სცენაში ცეკვისას მისი მოძრაობები სწრაფი, მაცდური და დამცინავია. მერკუციოს სიკვდილის სცენისას გერასიმენკო იყო მხიარული ახალგაზრდა, რომელიც ისევ მასხარაობდა და ხარობდა ცხოვრებით, რომელიც თითქმის აღარ დარჩენოდა; თანაუგრძნობდა რომეოს სიყვარულში და ამხნევებდა მას (მერკუციოს სიკვდილის ასეთი გააზრება ჩარლზ კემბელმა დაამკვიდრა დრამატულ თეატრში და შემდეგ ტრადიციად იქცა).

ლავროვსკის ქორეოგრაფიაში თითოეული მოძრაობა, თვალის გამოხედვაც კი შინაგან, სულიერ ქვეტექსტს ატარებს. ისინი განსაზღვრულ, მკვეთრ გრძნობებს უნდა გამოხატავდნენ. ამიტომ, მხოლოდ მთავარი პარტიების შემსრულებლები არ განსაზღვრვენ სპექტაკლის წარმატებას.

ძიძა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლია სპექტაკლში. ტატიანა ბახტაძემ შეძლო თავისთავადი, სახასიათო და საინტერესო სახე შეექმნა. მისი გმირი უბრალო, ასაკოვანი მოახლე კი არ არის, არამედ სიცოცხლით სავსე ქალია, ერთგვარი დედური აღლოთი რომ გრძნობს ჯუღიეტას არჩევანის სერიოზულობას და თანაუგრძნობს მას.

მძაფრი და ტრაგიკული გამოდგა მეორე მოქმედების ფინალური სცენა, რომელიც ტიბალდის დატირებით სრულდება. შეიძლება ითქვას, რომ ამ სცენის მთავარი მამოძრავებელი ძალა, წამყვანი პერსონა – ქალბატონი კაპულეტია, რომელიც არნახულად შეასრულა თეონა ჩარკვიანმა. მას მთელი სპექტაკლის დროს თავი ეჭირა, როგორც წამდვილ ლედის, რომლის პლასტიკა უაღრესად გამომხატველი იყო, რაც მის თითოეულ ყესტში, მოძრაობაში, თავის დაკვრაში ჩანდა.



## ევგენი გერასიმენკოსათვის მერკუსიოს პარტია შინაგანად ახლოვალა!



პრემიერის შემდეგ

ტიბალდის შემსრულებლებს (დავით ხოზაშვილი, მიშა მენაბდე) თავი საკუთარი ღირსების გრძნობით ეჭირათ. დავით ხოზაშვილის ტიბალდის ბოროტება ხაზგასმულად გამოჩნდა ვერონის მოედანზე ბოლო გამოსვლისას, როცა იგი რომეოს ეძებდა და შემპარავი ნაბიჯით, პირქუში სახით უახლოვდებოდა მოედანს. დუელის სცენა როგორც მერკუსიოსთან, ასევე რომეოსთან, მოცეკვავემ, ენერგიულად ჩაატარა.

სპექტაკლის ხიბლი ისაა, რომ იგი შექმნილია როგორც დიდი კარნავალი, სადაც უხილავად დადის მოახლოებული ტრაგედიის აჩრდილი. ეს მეჯლისის სცენის დიდებულებშიც კი იგრძნობა, რომელსაც პროკოფიევის გენიალურ მუსიკასთან, ლავროვსკის დიდებულ ქორეოგრაფიასთან ერთად, თბილისურ წარმოდგენაში სცენოგრაფიის მონუმენტურობა, კოსტიუმების ფერადოვნება და კორდებალეტის სახიერი ცეკვები ქმნიან. უნდა ითქვას, რომ კორდებალეტი კარგ ფორმაშია. „გალოპი“, ჯულიეტას მეგობრების ცეკვა, მასხარების სცენა უდაოდ იმსახურებს აღნიშვნას. სურვილი გიჩნდება თითოეული მათგანი დაასახელო; რამდენიმეს მაინც გამოვყოფდით – მარიამ ალექსიძე, ნინო ოჩიაური, გაგა გოგუა, არტურ ივანოვი; სახასიათო ცეკვებში – შორენა ხაინდრავა, მაია ილურიძე.

და ბოლოს მაესტროს შესახებ.

პრემიერას დირიჟორობდა ამერიკიდან მონვეული კალიფორნიის უნივერსიტეტის, ბერკლის Call performances დირექტორი რობერტ კოული, შემდეგ სპექტაკლებს კი – რევაზ ტაკიძე, რომლის თავდადებული და კვალიფიციური მუშაობის შედეგია, „რომეო და ჯულიეტას“ წარმატებული დადგმა. მაესტრომ პრემიერამდე ზუსტად ორ კვირაში უზარმაზარი მუშაობა გასწია, რათა პროკოფიევის ბალეტის მუსიკალური ტექსტი სათანადო დონეზე წარმომდგარიყო.

ევგენი გერასიმენკო მესამე წელია საბალეტო დასის სოლისტია. თბილისში იგი ნინო ანანიაშვილის მოწვევით ჩამოვიდა მოსკოვიდან. ცეკვასთან პირველი შეხება მას ქართული ხალხური ცეკვების მოსკოვში არსებულ ანსამბლ „კოლხიდაში“ მოუხდა. შემდეგ კი ცეკვის აკადემიაში განაგრძო სწავლა. ევგენის გაუმართლა, რომ ძლიერი პედაგოგი შეხვდა. ბორის რახმანინისგან მან ბევრი ისწავლა.

პირველი როლი თბილისში მას მისცეს ერთაქტიან ბალეტში „სიზმრები იაპონიაზე“, შემდეგ იყო მაკინტაერის „ნამი გარდასახვამდე“ – ერთ-ერთი სოლო პარტია... ჰანსი („ჟიზელი“), კოჭა („ზაფხულის ღამის სიზმარი“), ალენი („ამაო სიფრთხილ“) ... ასე იზრდება რეპერტუარი. სეზონის ბოლოს „რომეო და ჯულიეტაში“ მან მერკუსიო იცეკვა:

„ჯერ კიდევ სასწავლებელში სწავლისას, პედაგოგმა ერთხელ მითხრა: „მოამზადე მერკუსიო“. ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რომელიმე სპექტაკლში უნდა მეცეკვა. ეს როლი ჩემთვის შინაგანად ძალიან ახლოვალა. ვთვლი, რომ ეს ჩემი როლია. ძნელია იცეკვო ისეთი გმირი, რომელიც არაფრით არ მოგწონს. მერკუსიო კი ყოველთვის ძალიან მომწონდა“.


ევგენი გერასიმენკოს ცეკვა გამოირჩევა გულწრფელობითა და ხასიათის მასშტაბურობით. მისი მერკუსიო კარგად მოერგო სპექტაკლის საერთო ნახაზსა და სულისკვეთებას, ხოლო მერკუსიოს სიკვდილის სცენა მისი შესრულებით ძალზე შთამბეჭდავი გამოდგა.

ასეთი დონის მოცეკვავეს ნებისმიერი საბალეტო დასი ისურვებდა. მას განსაკუთრებით კარგად გამოსდის სახასიათო როლები. გამაში „ღონ კიხოტში“ ევგენის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია, სადაც მოცეკვავემ მოახერხა პლასტიკისა და იმპროვიზაციის შესანიშნავი შერწყმა. ალენის მოძრაობები და გარბენი, „ამაო სიფრთხილის“ ფინალური სცენიდან კი, ამ სანახაობრივად ლამაზი და ფერადოვანი ბალეტის მშვენიერი დასასრული გამოდგა.

თბილისსა და თბილისელებს მსახიობი კარგად მოერგო და შეეთვისა. მისი ინტერესის სფერო მხოლოდ ბალეტი არ არის. ადამიანური ურთიერთობების გარდა ევგენი ბევრს კითხულობს, ეცნობა ქართულ კულტურას, ესწრება სპექტაკლებსა და კონცერტებს, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევს ის დაძაბული სამუშაო, რომელიც თეატრში აქვს. ახალ საპრემიერო სპექტაკლში – „ორი მტრედი“, მოცეკვავე პატარა ბოშას სახასიათო პარტიას იცეკვებს. თუმცა, მისი ოცნების როლი ჯერ არ შეუსრულებია და იგი არც ჩვენთან საუბარში დაასახელა.



მერკუსიო – ევგენი გერასიმენკო



### ახალი შეხვედრა ეზტონის ქორაოგრაფიასთან

1911 წელს დიაგილევის მიერ ინგლისში ორგანიზებულმა ანა პავლოვას გამოსვლებმა, ისეთ პოპულარობას მიაღწია, რომ ერთ წელიწადში ლონდონში უკვე საბალეტო სკოლა გაიხსნა სადაც, ანა პავლოვასთან ერთად, ასწავლიდნენ თამარ კარსაინა და ნიკოლოზ ლეგატი. წარმოშობით ინგლისელმა მოცეკვავემ ნინეტ დე ვალუამ სწორედ ამ პერიოდში მიიპყრო დიაგილევის ყურადღება, რომელმაც მიიწვია კიდევ იგი საკუთარ დასში. 1926 წელს ვალუამ ლონდონში საკუთარი საბალეტო სკოლა გახსნა, სადაც თავდაპირველად ექვსი მოსწავლე სწავლობდა. აქ დაიწყო მისი თანამშრომლობა ლილიან ბეილისთან, რომელიც ასევე ცდილობდა თანამედროვე ნაციონალური საბალეტო სკოლის ფორმირებას. 1931 წელს მოხდა „სედლერს-უელსის“ თეატრის რეკონსტრუქცია. 5 მაისს აქ პირველი საბალეტო საღამო გაიმართა, რაც ბრიტანეთში დამოუკიდებელი ბალეტის ისტორიის დასაწყისი გახდა.

1945 წლის შემოდგომაზე ბრიტანეთში გამოაცხადეს, რომ საოპერო და საბალეტო სპექტაკლებისათვის გამოყოფილი იქნებოდა „Covent Garden“-ის თეატრის შენობა. ინგლისის პირველი ნაციონალური საბალეტო დასის „Covent Garden“-ში გადასვლით ლონდონში მუდმივი საოპერო და საბალეტო თეატრი გაიხსნა.

„კოვენტ გარდენის – სამეფო ოპერა“ („Covent Garden Royal Opera House“) – ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე ძველი თეატრალური შენობაა. იგი 1858 წელს ააგეს „სამეფო იტალიური ოპერის“ ადგილზე, რომელიც ორი წლით ადრე დაიწვა.

ახალი თეატრის დირექტორთა საბჭომ ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელად ნინეტ დე ვალუა დანიშნა – „სედლერს უელსის“ საბალეტო დასის ხელმძღვანელი. მის მოადგილედ 1952 წელს ფრედერიკ ეშტონი დანიშნა. პირველი საბალეტო სეზონი „Covent Garden“-ში 1946 წლის 20 თებერვალს ჩაიკოვსკის „გედების ტბით“ გაიხსნა.

ფრედერიკ ეშტონი XX საუკუნის გამოჩენილი ქორეოგრაფია, რომლის სახელთან დაკავშირებულია ინგლისის ბალეტის ისტორია. ჩვენს თეატრში ეშტონის „ამაო სიფრთხილე“ პირველად 1907 წელს დაიდგა. 1986 წელს ბალეტის ახალი რედაქცია ზურაბ კიკალაიშვილმა განახორციელა. 2005 წელს კი – „ამაო სიფრთხილე“ ბრიტანელმა ბალეტმაისტერმა ალექსანდრ გრანტმა და მონვეულმა რეპეტიტორმა ემილიო მარტინსმა დადგეს თეატრის სცენაზე. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა ნილად. ჟურნალი „Tbilisi Pastimes“ ფართოდ ეხმაურება ამ დადგმას. გთავაზობთ პუბლიკაციას მცირეოდენი შემოკლებით:

## მოხერხებული ქოხები, ყვითელი ტრიკო და მუსტური კერიკი

დიდებული სპექტაკლი იყო ბავშვებისათვის. ეს მართლაც ბავშვების გასართობი ბალეტია. ამბავი მოგვითხრობს თინეიჯერ გოგონაზე, რომელსაც არ სურს ცოლად გაჰყვეს მდიდარი ფერმერის უფიქრ ვაჟს, მას ურჩევნია ვაჟკაცური ახალგაზრდა ყვითელ ტრიკოში. ყველაფერი ბავშვების თვალთ არის დანახული: გმირი გოგონას დედა (რომელიც ილანძღება), უხასიათო ვაჟის გაბერილი მამა – ისინი საბავშვო წიგნის კარიკატურებს გვანან. მხოლოდ ახალგაზრდა შეყვარებულები არიან „რეალურები“. ბავშვები დარბაზში ყველაფერ ამით აღტაცებულნი იყვნენ, და მათმა შემართებამ თანდათანობით გააღებო ჩემი პირველი რეაქცია მოსაბეზრებელ უფროსებზე. ამ ბავშვების წყალობით, საღამოს ბოლოსთვის, მე დავტკბი ცეკვით, ფერადი კოსტიუმების მიმზიდველობითა და დადგმით. მე მოვახერხე ერთი საათით დაგბრუნებოდი ბავშვობის მომხიბლავ სამყაროს, დავშორებოდი უფროსების საფიქრალს. გმადლობთ, დაგლოცათ ღმერთმა, ბავშვებო.

თუ თქვენ ასეთი რამ მოგწონთ, წადით და ნახეთ „ამაო სიფრთხილე“. ეს საუკეთესოდაა გაკეთებული. დადგმა ნათელია, პასტორალური თივის ზვინით, ლირიული და გამომხატველი ცეკვით. გარდა ამისა, აქ არის ქათმები, ძროხები და პიკნიკი ძალიან სუფთა მინდორზე. კოსტიუმები ბრწყინვალედ ფერადოვანია. ცეკვა ცოცხალი და სუფთაა. კორდებალეტის გოგონები მშვე-



ფრეადრიკ ეშტონი და მარგარიტ პარპიერი

ახლა თეატრი ეშტონის კიდევ ერთ პალატს ამაზადას მაჟურაბლისთვის. „ორ მტრადში“ მოთხრობილი ლირიული ისტორია აუცილავლად მოეწონებათ პალატის მოყვარულს. დამოკრაციის ფერადოვნება, გოშათა ბანაპის ცაცხლოვანი რიტმაგი, მშვენიერი კოსტიუმები, ლამაზ სანახაობას გვპირდებაან. პალატის დასაღბმულად თგილისში მუშაობდა გირმინგამის სამაფო თეატრის რეპეტიტორი დენის გონერი, რომელმაც თგილისიდან წასვლისას ჩვენთან საუბარში განაცხადა:



კოლენი – ლაშა ხოზაშვილი

ნიერნი არიან, მთავარი გმირი კი (ლაშა ხოზაშვილი) საოცრად მამაკაცური. მთავარი გმირი ქალი – ლიზა, რომელსაც ცეკვავედა მომხიბლავი მარიამ ალექსიძე, ჩინებულია. არის აგრეთვე რამოდენიმე ცეკვა, ცალკე, კერძოდ, ხელისშეშლის შესანიშნავი ცეკვა, რომელსაც ასრულებს დედა (ფაქტიურად, ქალის მიერ შესრულებული პანტომიმა). ფინალური სცენა თითქოს ახალ განზომილებაშია: ახალგაზრდა შეყვარებულები გულწრფელად მოძრაობდნენ, რადგანაც ისინი გულწრფელად გამოხატავდნენ თავიანთ ნაზ სიყვარულს ერთმანეთის მიმართ. გარდა ამისა, ორკესტრიდან ისმოდა რაღაც აღმაფრთოვანებელი შესრულება, განსაკუთრებით კი ფლეიტის ხმა, გამომხატველ და დაბალ ტონში, ლამაზ მეორე მოქმედებაში.

ბალეტი ლონდონის „Covent Garden“-ის სამეფო ბალეტთან ერთად დაიდგა, რომელიც ფრედერიკ ეშტონის მიერ სამეფო ბალეტის სცენაზე 1950 წელს შექმნილი ვერსიის მიხედვით, ცნობილმა მოცეკვავემ ალექსანდრ გრანტმა განახორციელა. მუსიკა კი ჯონ ლანჩბერს ეკუთვნის (აგრეთვე Covent Garden-დან). ნარმოდგენას დაჰკრავდა ლონდონური ორიგინალის სურნელი – თავისი დიდებული დადგმითა და კოსტიუმებით, და რაღაც ბანაკური სიმხიარულით.

წადით და ნახეთ ბალეტი, თუ თქვენ მოგწონთ ბრწყინვალედ შესრულებული მსუბუქი გართობა. მაგრამ, აუცილებლად წადით იქ ბავშვებთან ერთად. ისინი კარგ ხასიათზე დაგაყენებენ.

მარკ ლოჰი  
"Tbilisi Past Times", May/June, 2006

## დენის პონერი სინტერესო სექსუალს გეკირდება

„ფრედერიკ ეშტონი დიდი ქორეოგრაფი იყო. იგი ბრიტანული ბალეტის საფუძველია. ბრიტანელ მოცეკვავეებს ძალიან უყვართ, რაღაც ჩვენს სისხლშია.“

„ორი მტრედი“ შეიქმნა „ამაო სიფრთხილიდან“ ერთი წლის შემდეგ. სტილისტურად ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რასაკვირველია, არის განსხვავებანიც. მნიშვნელოვანია კორდებალეტის შესრულება და ოთხი სოლო პარტია.

სპექტაკლის ქორეოგრაფია ეშტონის ორიგინალურ ვერსიას მიყვება, მცირედი ცვლილებებით. თავად ვცეკვავედი ეშტონთან კორდებალეტში. დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი მარგარეტ ბარბიერი, რომელიც ჩემს შემდეგ გააგრძელებს მუშაობას, ასევე ცეკვავედა ეშტონთან ბოშა ქალსაც და სოლისტ გოგონასაც. ასე, რომ უშუალოდ მონაწილეები ვართ ამ დადგმის და ეს ხელს გვიწყობს კიდევ ეშტონის ქორეოგრაფიის სცენაზე ზუსტად გადმოტანაში. „ორი მტრედი“ თავის დროზე დავედი იაპონიაში, შოტლანდიაში, ბირმინგემის თეატრში, სადაც ახლა ვმუშაობ. თუ არ ვცდები იდგმება იტალიაში. ბოლო პა-დე-დე კი, იმდენად პოპულარულია, ხშირად დგამენ როგორც ცალკე ნომერს.

კმაყოფილი ვარ სოლისტების მუშაობით, ყოველდღიურად აქვთ წარმატებები როგორც ტექნიკური სრულყოფის, ასევე ხასიათის მიხედვით. ვიცი, რომ ეშტონის სტილი განსხვავებულია, ტემპერამენტიდან, ხასიათიდან გამომდინარე, მაგრამ სოლისტებს არ გასჭირვებიათ. კარგად იმუშავა კორდებალეტმა. სპექტაკლის წარმატების იმედი მაქვს“.



დენის პონერი

# ახალ სკიპსაკლს ვასილიევში კუორმებს!

მოლის სწოხილი ისტორიკოსი  
„ორი მტრედის“ დამდგამილი მხატვარია

ალექსანდრე ვასილიევი თბილისში პირველად მაისში, სოფო ჭყონიას მოწვევით ჩამოვიდა და მოლის ისტორიის საკითხებზე ლექციები წაიკითხა. ქართველებთან ურთიერთობა, როგორც თავად ამბობს, სიამოვნებს და კარგად გამოდის. პარიზში ქართველ დიზაინერთან, ირაკლი ნასიძესთან თანამშრომლობს. ამჯერად კი იგი სულ სხვა მისიით ესტუმრა თბილისს. თეატრის მხატვარი ეშტონის ბალეტის „ორი მტრედის“ დეკორაციებსა და კოსტიუმებზე მუშაობს. ბალეტი ინგლისში დღესაც იდგმება. ყოფილი სსრკ-ს სივრცეში კი მისი დადგმა პირველად ჩვენი თეატრის სცენაზე ხდება. ვასილიევს უმუშავია ამ ბალეტში ქალის მთავარი პარტიის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებელთან, „კოვენტ გარდენის“ სამეფო ბალეტის ვარსკვლავთან – ლივ სეი მურთან. პრიმა-ბალერინებთან თანამშრომლობა მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. ნინო ანანიაშვილთან პირველი საქმიანი შეხვედრა 1989 წელს, პორტუგალიის ნაციონალურ ბალეტში შედგა. იგი „დონ-კიხოტს“ აფორმებდა. ნინო კი ალექსეი ფადეეჩევთან ერთად ცეკვავდა. ვასილიევის მიერ შექმნილი ბალეტის საცეკვაო კოსტუმი მას დღესაც ჰქონია შენახული.

„მოსკოვში ჩვენ ხშირად ვხვდებოდით, რადგან ნინო იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც დედაჩემი. ხშირად ვსაუბრობდით, გვინდოდა გვეთანამშრომლა. ამის შესაძლებლობა ახლა მოგვეცა, აქ, საქართველოში. თეატრში შემოქმედებითი ცხოვრება დულს. თოთხმეტი პრემიერა

ორ წელიწადში, ეს დიდი მიღწევაა. ამიტომაც, სიამოვნებით დავთანხმდი ნინოს წინადადებას. აქ მუშაობა მართლაც სასიამოვნოა“.

ალექსანდრე ვასილიევმა გოგი ალექსიძის მიერ ირმა ნიორაძისთვის დადგმული „საფირონი“ გააფორმა, რომელიც ბალანჩინის ხსოვნას მიეძღვნა, თურქეთში ნათელა არობელიძესთან თანამშრომლობდა, რომელიც 70-იან წლებში ჩვენი თეატრის სოლისტი იყო. (ამჟამად ანკარის თეატრში მოღვაწეობს, მეუღლესთან – სერგეი ტერეშჩენკოსთან, წარსულში თბილისის საბალეტო დასის სოლისტთან, ერთად). ამდენად, ქართველ ბალერინებთან მუშაობა კარგად გამოდის და ახლაც, იმედი აქვს, სპექტაკლს წარმატება ექნება.

ვასილიევი თეატრალების ოჯახიდანაა. მამა – ალექსანდრე ვასილიევი თეატრის ცნობილი მხატვარი იყო, რომელმაც მოსკოვში 300-მდე სპექტაკლი გააფორმა. დედა – ტატიანა ვასილიევა მსახიობი და პედაგოგი, ნინო ანანიაშვილისა და ნიკა ცისკარიძის მასწავლებელი. „ეს უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს და სიამაყით მავსებს“, – ამბობს ვასილიევი. ბავშვობიდან ხატავდა. 16 წლის ასაკში თეატრ „Современник“-ში მხატვარ –

ბუტაფორისტად მიიწვიეს. 23 წლისა – საფრანგეთში, ემიგრაციაში წავიდა და 25 წელი იქ მოღვაწეობს. გააფორმა უამრავი ბალეტი მსოფლიოს თეატრების სცენაზე: „ახლახან ჩამოვედი ჩილედან, სადაც გავაფორმე ბალეტი „სამი მუშკეტერი“, სადაც ბევრი იუმორია, რაც ბავშვებს აინტერესებთ. თქვენი სამხატვრო ხელმძღვანელი ფიქრობს ამ ბალეტზე“. საქართველოსთან ჩილეშიც მოუწია შეხვედრა, გაიცნო ბალერინა ნატალია ერნი. იგი 1913 წელს თბილისში დაბადებულია, საბალეტო ხელოვნებას იუგოსლავიაში დაუფლებია და შემდგომ პარაგვაის ნაციონალური ბალეტი დაუფუძნებია. „აი ასე, თბილისში დაბადებული გოგონა – პარაგვაის ბალეტის დამფუძნებელი“, – ილიმის ვასილიევი, საქართველოზე შეყვარებული ხელოვანი, რომელმაც კარგად იცის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ეროვნული საუნჯეა და გვიყვება, რომ ბრონესლავა ნიჟინსკაიას მიერ დადგმული ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“ მონტე-კარლოს ბალეტის თეატრში იდგმებოდა. დღესაც ცოცხალი არიან ადამიანები, რომლებიც ამ ბალეტში ცეკვავდნენ.

ალექსანდრე ვასილიევი ცნობილია თავისი კოსტიუმების კოლექციით, რომელშიც 10 000 ნიმუშია დაცული. სურს, რომ ეს გამოვენა თბილისშიც ჩამოიტანოს. ალბათ, მაშინ საშუალება მოგვეცემა გავცნოთ მის ნიგნებს, სადაც სპეციალური თავი ეძღვნება საფრანგეთში ქართველების მიერ დაფუძნებულ მოდის სახლებს; მელიტა ჩოლოყაშვილსა და მერი შერვაშიძეს, რომლებიც შანელთან მუშაობდნენ.



„ძალიან მიყვარს საქართველო. თქვენ საოცრად კარგად შეინარჩუნეთ ტრადიციულობა. ჩემი დიდი მეგობარია ნანი ბრეგვაძე, რომლის მსგავსად რუსულ რომანსებს არავინ მღერის. ნანიმ მითხრა: „რუსულ რომანსებს კარგად მღერიან ან ქართველები, ან ბოშები“. ეს მართლაც ასეა. იცით რა არის ამის მიზეზი? სიტყვები იმდენად მარტივია, რომ რუსებს არ სჯერათ ამ სიტყვების. ქართველები და ბოშები კი რწმენით მღერიან, ამიტომ სდებენ მასში სულს“.

დამდგმელი მხატვარი პრემიერას მოუთმენლად ელის, ჩვენს თეატრში ხომ ეს მისი პირველი ნამუშევარია. თუმცა, იგი თბილისს ზამთარშიც ეწვევა. ამჯერად, „ლაურენსიას“ გააფორმებს.

ენიო მდევაკი



„არაბესკი“ იუსტიციის სახლის სცენის დიზაინი



## თბილისში ბურნონვილი იღვმება

დანის ბალეტს საპატიო ასაკი, სახელოვანი სკოლა, თავისთავადი კლასიკა გააჩნია, რომელიც აუგუსტ ბურნონვილის სახელს უკავშირდება. ბურნონვილის შემოქმედებითი გზა ნოვერის რეფორმატორული იდეების ეგიდით წარმართა, რომელიც მას მამამ, მოცეკვავემ და ბალეტმაისტერმა ანტუან ბურნონვილმა გააცნო. პროფესიული ოსტატობის დაუფლებაში კი ხელი შეუწყო ოგიუსტ ვესტრისმა, რომელიც ბურნონვილს დაეხმარა წარმატებით გამოსულიყო პარიზის „გრანდ ოპერაში“; მოგვიანებით, მან წინადადება მიიღო კოპენჰაგენის თეატრში მუშაობასთან დაკავშირებით. „ეს უაღრესად საჭიროა ჩემი ერთგული დანიური გულისათვის, და ეჭვი არ მეპარება... გამოვადგები ჩემს სამშობლოს სცენას, გავამართლებ იმ იმედებს, რომლებმაც ჩემში გაიღვიძეს“, – წერდა ბურნონვილი. მან, როგორც დამდგმელმა, გააგრძელა ნოვერის ტრადიციები. პანტომიმა – მისი ბალეტის გულია. მისი გმირების ყესტები – ეს მხოლოდ ნიშნები კი არაა, არამედ ცოცხალი ადამიანური საუბარი. ამის მაგალითია – რომანტიული პანტომიმა ბალეტ „სილფიდაში“. იგი შერწყმულია ცეკვასთან და არა მხოლოდ წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ სცენის ხასიათზე, არამედ თავის მხრივ მოქმედების განვითარების ერთგვარი იმპულსია. „ეს ფერწერული პოზების ჰარმონიული და რიტმული რიგია, რომელიც თანხმობაშია ხასიათთან და კოსტიუმებთან, ნაციონალურ და სულიერ მდგომარეობასთან, პიროვნულ ღირსებებთან და დროსთან. სწორედ ეს სხვადასხვა პოზებისა და მოძრაობების ჯაჭვი არის ცეკვა...“ – წერდა ბურნონვილი. მისი ბალეტების მთავარი მოქმედი გმირები უბრალო ადამიანები და ლეგენდარული გმირები არიან. და რაც მთავარია ბურნონვილის თითქმის ყველა ბალეტში სცენაზე გამოდის ყველა თაობა. პენსიაზე გასული ვარსკვლავები ცეკვავენ სახასიათო როლებს. მათ ადგილს იკავებენ ახალგაზრდები და ის ბავშვები, რომლებიც სკოლის ასაკიდან იმყოფებიან სცენაზე, უკვე სწავლობენ ყველა პარტიას, მისაბაძად ირჩევენ მოცეკვავეებს. ფაქტიურად იზრდებიან თეატრის კედლებში.

2005 წელს, დანის სამეფო თეატრში, ბურნონვილის ბოლო ფესტივალი გაიმართა. წარმოდგენილი იქნა ბალეტმაისტერის ყველა ის შედეგები, რომელიც ჩვენამდე მოღწეულა. ზოგი – სრული სახით, ზოგიც – ნაწილობრივ. ბევრი დაიკარგა კიდევ.

„კონსერვატორია“ ბურნონვილის ერთ-ერთი ბალეტია, რომელიც პარიზის ცეკვის სამეფო აკადემიაში, ვესტრისის კლასში გატარებული წლების მოგონებებზე შეიქმნა. ამ ბალეტის დადგმას თბილისში დანის სამეფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი ფრენკ ანდერსი და მისი მეუღლე, პედაგოგ-რეპეტიტორი ევა კლობორგი ახორციელებენ. ბურნონვილი თბილისში, დანიელი ბალეტმაისტერების მიერ, პირველად იგმება.

ევა კლობორგი თბილისში პირველად არ არის. ეშტონის „ამაო სიფრთხილის“ დადგმისას იგი პედაგოგ-რეპეტიტორად მოიწვიეს და დასს მაშინ გაეცნო. ამ ბალეტის პრემიერაზე იცეკვბ მისმა შვილმა – სებასტიან კლობორგმა, დანის სამეფო ბალეტის ახალგაზრდა შემსრულებელმა. აბვისტოს ჯოლოს ევა კლობორგი ჩვენს დასთან ბურნონვილის „კონსერვატორიის“ რეპეტიციებს ატარებდა. ჩვენი საუბარიც მაშინ შედგა:

**ევა კლობორგი:**

## „ბურნონვილის მოძრაობები დიდი პრემიები“

**ბურნონვილის მემკვიდრეობა დღეს მსოფლიოს საკუთრებაა. მაგრამ, ყველაზე კარგად მის სულს ალბათ თქვენ გრძნობთ სცენაზე, დანიაში, სადაც დაიწყო და საფუძველი ჩაეყარა ყველაფერ ამას...**

დიახ, ბურნონვილის მოძრაობებში არის დიდი გრძნობები, ძალიან მსუბუქად უნდა გამოიყურებოდეს იგი, მაშინაც კი როცა რთული მოძრაობებია. თითქოს არაფერი არ ხდება, სინამდვილეში კი ძალიან რთული შესასრულებელია. სრულიად განსხვავებულია ფეხების და სახის მოძრაობები, ვთქვათ, რუსულ სკოლასთან შედარებით. მათ განსაზღვრული მდგომარეობა აქვთ. რუსულ ბალეტში თითოეული პას შესაბამისად ტრიალდება ხელი, თავი. უფრო თავისუფლებაა. პეტიპას ბალეტებში დაშვებულია იმპროვიზაცია, მოცეკვავის ინტერპრეტაცია. ბურნონვილში ეს არაა; საჭიროა მოცემული მოძრაობების ზუსტი შესრულება და თითქმის ხელების დაუხმარებლად. აქ ხელი ფეხს იმავე მხარეს მიყვება, საითაც იგი ტრიალებს, ხელის მოძრაობაც სწორედ იქითაა მიმართული. ამას ყველა ქვეყანაში თავისებურად აღიქვამენ, განსაკუთრებით რთულია ამერიკაში. ისინი მიჩვეულნი არიან ხელების თავისუფლებას, მაღლა ჭერას. ბურნონვილთან ძალზედ მნიშვნელოვანია ის, რომ მოცეკვავე მუდმივად ცეკვავს; რუსულ ბალეტში – ემზადება, გამოდის, შემდეგ შეისვენებს, ისევ გამოდის. აქ მუდმივად უწევს ცეკვა. ამიტომაც არის შესასრულებლად რთული.

**როგორია „კონსერვატორიის“ სტრუქტურა. თბილისში დადგმული სპექტაკლი ახლოა ორიგინალთან თუ რედაქციული ცვლილებები არის შიგნით?**

ერთი წლის წინ, ბურნონვილის ფესტივალზე, წარმოდგინეთ „კონსერვატორია“ ორ მოქმედებად, როგორც იგი თავდაპირველად იდგმებოდა. „ცეკვის სკოლა“ მისი შემადგენელი ნაწილია. საერთოდ, ამოვიღებთ ხოლმე ამ ნაწილს და როგორც ცალკე ბალეტს ისე წარმოვადგენთ. თქვენთანაც ეს ნაწილი იდგმება. ყველაფერი ისეა შენარჩუნებული, როგორც თავის დროზე დაიდგა. მაგრამ ნინო ანანიაშვილმა და ფრენკ

ანდერსმა გადაწყვიტეს, ამასთან ერთად, კიდევ ორი ნომერი შესთავაზონ მაყურებელს – „კონსერვატორია“ რომ დასრულდება, იმავე გარემოში, იმავე დეკორაციებში წარმოდგენილი იქნება „უოკეების ცეკვა“ და პა-დე-დე ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“. ასე, რომ გარკვეული წარმოდგენა ბურნონვილის სტილზე შეგექმნებათ.

**რამდენადაა შესწავლილი ბურნონვილის შემოქმედება. რა ღონისძიებებს მართავთ, რომ მსოფლიოში ზუსტად იქნეს დაცული მისი სტილი, აღდგეს მივიწყებული ბალეტები. არსებობს მისი ფონდი, როგორც ბალანჩინის მემკვიდრეობის დაცვის შემთხვევაში გვაქვს?**

მნიშვნელოვანი კითხვაა. ჯერ ასეთი ორგანიზაცია არ არის. ამ ზაფხულს შევიკრიბეთ ბურნონვილის ექსპერტები, ვისაუბრეთ. არ ვიცი რა ფორმას მიიღებს ეს წამოწყება, მაგრამ აუცილებლად იქნება. 2005 წლის ფესტივალზე მისი ბევრი ბალეტი წარმოვადგინეთ, ბევრი დაიკარგა, შეიძლება იმის გამოც, რომ თავად ამ ბალეტების მიმართ ალბათ არ იყო ინტერესი. შემორჩენილია შედეგები – „სილფიდა“, „ნეაპოლი“, „კონსერვატორია“, პა-დე-დე-ები სხვადასხვა ბალეტებიდან. ბურნონვილი დღეს იდგმება იაპონიაში, ჩინეთში, შვეიცარიაში... ახლა – საქართველოში.

**თეატრის ცხოვრებაში პრემიერა ყოველთვის დიდი მოვლენაა. ბურნონვილს საქართველოში პირველად დგამთ თქვენ, მისი სამშობლოსა და მის მიერ შექმნილი საბალეტო თეატრის წარმომადგენელი. რა გრძნობა გეუფლებათ? როგორ მოგწონთ დასის მუშაობა, ესკიზები, გარემო...**

განცდა სასიამოვნო და ამალელებული მაქვს. ვნახე დეკორაციათა ესკიზები; ვგრძნობ, რომ სწორი სული დევს შიგნით. კარგად გამოიყურება კოსტიუმები. მოცეკვავეები ცდილობენ, ბევრს მუშაობენ, რომ კარგად გამოუვიდეთ. მეც ვცდილობ ბევრი ინფორმაცია მიეცე მათ. ეს ხომ მარტო მოძრაობები არ არის, ეს გრძნობებია, გამომეტყველება; განსაკუთრებით პა-დე-დე-ებშია ეს საჭირო. სამწუხაროდ, პრემიერაზე ვერ ვიქნები, მაგრამ ვფიქრობ, რომ კარგი გამოვა. პრემიერამდე ჩამოვა ფრენკი, რომელიც საბოლოო კორექტივებს შეიტანს ნინო ანანიაშვილთან ერთად. სხვათა შორის, თქვენ იცით როგორ მოვიდა ნინო კოპენჰაგენში, ჩვენს თეატრში?

**სწორედ ახლა მინდოდა მეკითხა ამის შესახებ?**

თუ არ ვცდები 1989 წელი იყო. დარეკა ტელეფონმა და გვითხრა, რომ „მე ვარ ნინო ანანიაშვილი, გთხოვთ დაელაპარაკოთ ჩემს მეუღლეს“. მაშინ ის არ საუბრობდა ინგლისურად. გიამ ჩემს მეუღლეს უთხრა, რომ ნინოს სურს ჩამოვიდეს და ისწავლოს ბურნონვილი. ნინომ იცეკვა „სილფიდაში“, „ნეაპოლში“, ისწავლა ბევრი პა-დე-დე. ძალიან ხშირად გამოდიოდა ხუელი ბოკასთან, ნიკოლაი იუბესთან ერთად. 1993 წლამდე ჩამოდიოდა. ასე შეხვდა ის ბურნონვილის ქორეოგრაფიას.

**ცოტა კორექტივს შევიტან. ნინო ანანიაშვილი ბურნონვილის შემოქმედებას დიდ თეატრში 1984 წელს გაეცნო, როცა დანიის სამეფო ბალეტის ხელმძღვანელის მაშინდელ მოადგილესთან, კირსტენ რალოვთან, ერთად მოამზადა პა-დე-დე ბალეტიდან „ბაზრობა ბიურგეში“ და იცეკვა დიდ თეატრში.**

დიახ, დიახ, სწორი ბრძანდებით.

**საუბრის დასასრულს იქნებ ორიოდ სიტყვა გვითხრათ დანიის სამეფო ბალეტის დღევანდელ მდგომარეობაზე?**

აშკარად შეიმჩნევა უკეთესობა. კარგად ვმუშაობთ კომპანიაში; ყველას უნდა, რომ ბალეტის მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ბოლო სამი სეზონის მანძილზე კარგი გამოხმაურებები გვაქვს. შევეცდებით შევინარჩუნოთ ეს სტანდარტები. რეპერტუარში ვცდილობთ გვქონდეს როგორც თანამედროვე ცეკვები, ასევე კლასიკაც. ჩვენთვის მთავარია, თეატრში ყველა ასაკის მაყურებელი მოვიდეს.

ესაუბრა ილია თავაძერიძე



ენა კლოპორგი რეაპტიციაზე



# რატომ არ ნაშილა ნათია სირბილაძე ქან შრახკო შერესთან სამუშაოდ

ჩვენი სამხატვრო-საწარმოო კომბინატის შენობა თეატრის უკან დგას, განცალკევებით. თუ ამ შენობის მეორე სართულზე მოხვდებით, ულამაზესი ფერებით აჭრელბული სამყარო გადაგეშლებათ თვალწინ. სწორედ აქ იკერება ჩვენი მოცეკვავეების კოსტიუმები, მზადდება აქსესუარები და ბუტაფორიები. სახელოსნოს ორ დიდ ოთახში ყველაზე ხშირად ნათიას უხმობენ, ეკითხებიან, დავალებებს იღებენ. ჩვენც უპირველესად გვინდა სწორედ ნათია გაგაცნოთ, კოსტიუმების მხატვარი.

ნათია სირბილაძე საბალეტო დასის მეექვსე სპექტაკლის კოსტიუმებზე მუშაობს. ემტონის „ორი მტრედის“ ესკიზები ალექსეი ვასილიევი ეკუთვნის, ნათია კი მათ ზუსტ შესრულებას ხელმძღვანელობს და სასიამოვნოდ მიიჩნევს ასეთ გამოცდილ პროფესიონალთან თანამშრომლობას. აქამდე კი იყო სხვა საინტერესო და დამოუკიდებელი პროექტები.

თეატრალურ კოსტიუმებზე მუშაობის გამოცდილება მან მილანში მიიღო. თბილისის სამხატვრო აკადემიის კოსტიუმების მოდელირების ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ორი წელი მილანის აკადემიაში სწავლობდა მოდელირებისა და კოსტიუმის დიზაინის ფაკულტეტზე, პარალელურად მილანის თეატრალური კოსტიუმების სამკერვალოში (Pupazzia) მხატვარ-დიზაინერად მუშაობდა. საკუთარი სახელოსნოც ჰქონდა, სადაც, ძირითადად ხელჩანთებს, შარფებსა და ყელსაბამებს აკეთებდა. 2003 წელს ნათია „Dolce & Gabbana“ შეკვეთას ასრულებდა და ჩანთებს კერავდა. შემდეგ თავისი მონაცემები ჯან ფრანკო ფერეს გაუგზავნა და იქედანაც სტილისტად მონვევის ბარათი მიიღო. ამ დროს თბილისში ჩამოვიდა, შეხვდა ნინო ანანიავილის, რომელმაც «გედების ტბაზე» მუშაობა შესთავაზა და იტალიაში წასვლა დროებით გადადო. ნათიას ეს საქმე იმდენად მოეწონა, რომ მილანში წასვლა გადაიფიქრა. ოკუნევის პირველი პროექტი თბილისში – «გედების ტბა» მისთვის ბალეტში პირველი ნამუშევარი იყო. ქსოვილები თურქეთში შეიძინეს, ამ გამოცდილების შემდეგ აღარ გასჭირვებია პირველი დამოუკიდებელი ნამუშევრის – ბალანჩინის „სიმფონიური ვესტერნის“ კოსტიუმების შესრულება. ყველაფერი ძალიან მოკლე დროში – ათ დღეში შეიკერა. მიმართულებები ბარტ კუკისაგან მიიღო. შემდეგი სპექტაკლი „ზაფხულის ღამის სიზმარი“ იყო. ესკიზები დამდგმელ ქორეოგრაფს – თრეი მაკინტაერს გაუგზავნა. არჩევანიც მან გააკეთა. მასალა მილანში შეიძინეს, რომელსაც დღესაც იყენებენ. „რომეო და ჯულიეტას“ კოსტიუმებიც ნათიას ეკუთვნის.

ფურცელზე ადვილი მოსათხრობია რაც ამ სამხატვრო სახელოსნოში ხდება. სამუშაო კი საკმაოდ რთული და შრომატევადია:

## Tchaikovsky Pas-de-deux

ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ჩაიკოვსკისთან, ბალანჩინისთვის საინტერესო და სასიამოვნო გახლდათ. ასე მოხდა ამ პა-დე-დეს დადგმის შემთხვევაში. მისტერ ბიმ კარგად იცოდა, რომ დიდი თეატრის პრიმა – ბალერინამ ანა სობეშანსკაიამ „გედების ტბის“ III მოქმედების ბოლოს კიდევ ერთი დამატებითი პა-დე-დეს დადგმა მოითხოვა. სოლომონ ვოლკოვთან საუბარში (ცნობილ ნიგნში „Страсти по Чайковскому“), ბალანჩინი აღნიშნავს, რომ ასეთი პა-დე-დეს დადგმა მინკუსის მუსიკაზე გადანყდა, რამაც ჩაიკოვსკის განაწყენება გამოიწვია. მან სასწრაფოდ შექმნა მელოდია, რომელიც ძირითად პარტიტურაში არ იყო შესული და ამიტომ, არქივების მტვერში იქნა ჩაკარგული. იგი, მოგვიანებით, 1953 წელს იპოვეს დიდი თეატრის არქივში. ბალანჩინმა მოიპოვა ეს მელოდია და მასზე შექმნა ქორეოგრაფიული შედევრი, რომელიც მსოფლიოში „Tchaikovsky Pas-de-deux“ სახელწოდებითაა ცნობილი. „მე გადავწყვიტე, რომ ეს მუსიკა ჩვენი ყველაზე ზრწყინავალი მოცეკვავეების პა-დე-დესების აკომპანიმენტი გახდეს“, – ამბობდა ბალანჩინი.

აზარტულ, გამამხნეველ ათწუთიან ცეკვაში სოლისტებს საშუალება ეძლევათ მთელი თავისი ვირტუოზულობა და შესაძლებლობები გამოამჟღავნონ. პა-დე-დე 1960 წელს ვიოლეტა ვერდისა და კონრად ლადლოუსთვის დაიდგა.


„Tchaikovsky Pas-de-deux“ 3 ივნისს, სეზონის დახურვისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე იხილა მაყურებელმა ლალი კანდელაკისა და ირაკლი ბახტაძის შესრულებით.

თავდაპირველად, adagio-ში, მაყურებელი ნელ-ნელა შეეჩვია სოლისტების მოძრაობებს, რომლებმაც ვარიაციებში საკმაოდ გაააქტიურეს შესრულება. ლალი კანდელაკმა ტექნიკურად დახვეწილი, ფაქიზი ცეკვა შემოგთავაზა, რომელიც წრეზე მოხდენილად მოძრავი ბრუნებით დაასრულა. ირაკლი ბახტაძე საკმაოდ დამაჯერებლად და ენერგიულად ცეკვავდა, რომლის ფინალური პირუეტები მაყურებლის ოვაციის თანხლებით წარიმართა.

„Tchaikovsky Pas-de-deux“ საპრემიერო ჩვენებით დასმა ერთგვარად შეაჯამა თეატრში ბალანჩინის ქორეოგრაფიის შემოსვლა, რომელიც ორი სეზონის მანძილზე, ცხრა შედევრის დადგმით აღინიშნა. მისტერ ბის შედევრებთან მათ კიდევ ერთი შეხვედრა, რადგან ბალანჩინი მსოფლიო საბალეტო ელიტაში შესასვლელად აუცილებელი განაცხადია, რომელსაც უპირველესად, სჭირდება შესრულება. თუ ეს იქნება, თავისთავად იქნება აღიარებაც.

ყველაფრის თავში კოსტიუმების მხატვარია, რომელიც მუშაობას დამდგმელ ქორეოგრაფთან საუბრით იწყებს. იგი მიმართულელებს იძლევა. შემდეგ მხატვრის ფანტაზიაა მთავარი. დიდი მნიშვნელობა აქვს ლიბრეტოს, მუსიკის სწორად აღქმას. ზოგჯერ დრო ისე ცოტაა, რეპეტიციებზე შეხედვაც არ ესწრება. ესკიზების შექმნის შემდეგ მხატვარი ქსოვილს ეძებს. უამრავი პარამეტრია გასათვალისწინებელი. ქსოვილი არ უნდა იყოს მძიმე. არც ძალიან სქელი და არც ძალიან თხელი; დიდი მნიშვნელობა აქვს ფერს, მათ შეხამებას. ნათიას ცოცხალი ფერები მოსწონს. შეიძლება კოსტიუმში მრავალი ფერი გამოიყენოს, მაგრამ ისე, რომ ფერთა გამამ ერთმანეთი არ შეჭამოს, ცალ-ცალკე აღიქმებოდეს და კონტრასტული არ იყოს. ასეთი ქსოვილის შექმნა რთულია, მაგრამ მან ახლა ყველა წერტილი იცის და პრობლემებიც ნაკლებად. შესაბამისი ქსოვილს გამომჭრელს აძლევს, უთითებს თარგის ზომას, უხსნის რა ჩაიფიქრა, რას მოითხოვს. ქალთა სახელოსნოში ამ საქმეს უფროსი გამომჭრელი რუსუდან იაშვილი ხელმძღვანელობს, მამაკაცების კოსტიუმებისათვის კი – ბაბუ-ლია ჭეხაშვილი ირჯება. საცეკვაო კაბის (ე.წ. „пачка“) გამომჭრამ შესაძლოა ნახევარი დღე წაილოს. დროებით გადავუხვიოთ თხრობას და შევეცდებით აგისნათ რა არის „пачка“. ტიულის 7-8 ფენისაგან იკერება კაბა, რომლის ფენები ისე უნდა დაიწყოს, რომ არ „გადაიღუნოს“. ყველაფერს კრავს დრეკადი რკინა (ე.წ. стержень), რომელიც შუა ფენაზე მაგრდება. ზედაპირიც ტიულისგანაა, ოღონდ მოხატულია: თუ სასურველი ფერის ქსოვილი არ არის, ხდება მისთვის ფერის მიცემა, რასაც აქ „შებერვას“ ეძახიან. კლასიკურ ბალეტში „пачка“ იმიტომ შემოიღეს, რომ ის საშუალებას იძლევა მაყურებელმა კარგად დაინახოს ბალერინის ფეხის რთული მოძრაობა. გაიხსენეთ თეთრად მოფარფატე გედები, რა სილამაზე შემოაქვთ სცენაზე. თითქმის ამავე წესით იკერება უფრო გრძელი კაბები, რომელსაც „შოპენებს“ უწოდებენ. შეკერილი მასალა მოცეკვავეებმა უნდა მოიზომონ; მოზომება ჯერ კიდევ მაშინ იწყება, როცა კორსეტის შიგნითა ნაწილია შეკერილი; ჯერ ყველაფერი ათასგზის იზომება, კეთდება მდგრადი ქამარი; აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ქსოვილი პარტნიორისთვისაც მოსახერხებელი იყოს, რომ ხელი არ დაუცურდეს. ეს პროცედურა ზოგჯერ სამ-ოთხჯერ მეორდება, რადგან კოსტიუმმა ხელი არ უნდა შეუშალოს მოცეკვავეს თავისუფალ გადაადგილებაში, ხელების მოძრაობას და საერთოდ, ცეკვაში. ახლა წარმოიდგინეთ დიდი ბალეტები, სადაც თეატრის კორდებალეტი მთლიანად მონაწილეობს, მთელ რიგ პარტიებს ცეკვავს სხვადასხვა შემადგენლობა, რომელთაც ცალ-ცალკე უნდა შეუკერონ კოსტიუმები, ფეხსაცმელები (ე.წ. ბალეტკები) და მიხედვით, რა შრომატევადია ამ ადამიანების შრომა. მხატვარი განსაკუთრებით ემადლიერება ყველას, მაგრამ მაინც აღნიშნავს მათ გოგობერიძის, ლია სალთხუციშვილის, ნელი ედილაშვილის, იანა ტოლკაჩუას პროფესიონალიზმს. შეკერილი კოსტიუმები ბოლო შტრიხების, მოხატვისა და აპლიკაციისათვის სპეციალურ სამქროში გადააქვთ, სადაც მათ გალამაზებაზე იდა აგაიანი და რიტა ჟავორონკოვა ზრუნავენ; ხოლო აქსესუარებსა და ბუტაფორიებს ჯემალ გიგაური, ქეთევან ამბარდნიშვილი, მზია გერლიანი, პავლე ივანოვი, ნელი გაბოძე ქმნიან.

მზა კოსტიუმებს თეატრის სპეციალური სამსახური იბარებს. სამკერვალო სახელოსნოში კი ფერად-ფერად ქსოვილებს ისევ შლიან, ახალ თარგებს ჭრიან, აქსესუარებს არჩევენ... ყველაფერი ისე თავიდან იწყება, რადგან თეატრი ხომ მუდმივად, პრემიერის მოლოდინით ცხოვრობს.



# მაია ილურიძის გაგონებას ყოველთვის ელიან

...სცენაზე გამომწვევად შემოდის მერსედესი – ეს-პანელი მოცეკვავე ქალი, რომლის ენერგიული და ცეცხლოვანი ცეკვისას დარბაზი წამით გაირინდება, და მერე დიდ ოვაციას უმართავს შემსრულებელს; ასეა ყოველთვის, „დონ კიხოტის“ მეორე მოქმედებისას, როცა ტავერნის სცენაში მაია ილურიძე თავის სოლო ვარიაციას ასრულებს.

მომხიბვლელი, პლასტიური და ჰაეროვანი ახალგაზრდა შემსრულებელი თეატრში მეექვსე სეზონია ცეკვავს და უკვე შესძლო მაყურებლის სიყვარულის მოპოვება. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებამდე (სვეტლანა მთვარელიშვილისა და ლარისა ჩხიკვიშვილის კლასი), იგი ლათინო-ამერიკულ და სამეჯლისო ცეკვებზე დადიოდა და სერიოზული ცოდნა შეიძინა, რომელიც მაიას ახლა ეხმარება, სახასიათო პარტიების მომზადებისას.

მერსედესი, ქუჩის მოცეკვავე, ბოლერო („დონ კიხოტიდან“) მაიას ადრეც ჰქონდა შესრულებული, მაგრამ ალექსეი ფადეეჩევის ახალი რედაქციით დადგმულ სპექტაკლში მას ხასიათის ახლებური გააზრება მოუხდა, რაშიც დიდი დახმარება გაუწიეს მონვეულმა რეპეტიტორებმა – ტატიანა რასტორგუევამ და იულიანა მალბასიანცმა. მოცეკვავე ასევე ემადლიერება დასის პედაგოგ – რეპეტიტორებს, რომელთაც ყოველდღე მუშაობს.

მაია ილურიძის შესრულება ყოველთვის გამოირჩევა ხასიათის მასშტაბურობით, იმპროვიზაციითა და კარგი ტექნიკით. სახასიათო პარტიების შესრულებისას მთლიანად იხარჯება, შინაგანად გრძნობს, რასაც ცეკვავს. ასეთი პარტიების შესრულება საკმაოდ რთულია, რადგან მარტო ცეკვა კი არ მოგეთხოვება, აქ უნდა ითამაშო, დიდი მუხტი და ენერჯია უნდა გადასცე დარბაზს, რომელიც ზუსტად გრძნობს სპექტაკლის მაჯისცემას და ოვაციებიც არ აყოვნებს.

ბალანჩინის „სიმფონიურ ვესტერნში“ მაიას დუეტი ლაშა ხოზაშვილთან, ჩვენი რეპერტუარის ერთ-ერთ საუკეთესო შესრულება გახლავთ. სახასიათო ცეკვების გარდა, მაია ფიქრობს, რომ კლასიკური რეპერტუარის შესრულებაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს, როცა ექსერსისის დროს ძელთან დგება, შინაგანად გრძნობს ამას. ახლა „უიზელსა“ და „სერენადაში“ ამზადებს ახალ პარტიებს.

... და როცა ტავერნაში ტორეადორი ესპადა სოლო ვარიაციას დაასრულებს, სცენაზე ესპანურ კოლორიტს შემოიტანს მერსედესი; დარბაზში ამ დროს ჩურჩულსაც გაიგებთ – „ახლა ილურიძე იცეკვებს!“ და მისი ენერგიული, ცეცხლოვანი ცეკვა ოვაციებით დაიფარება.



## საბალეტო დასის სპექტაკლების

### ოქტომბერი

26	პრემიერა	კონსერვატორია ორი მტრადი	19.00
27	პრემიერა	კონსერვატორია ორი მტრადი	19.00
28	პრემიერა	კონსერვატორია ორი მტრადი	19.00
29	პრემიერა	კონსერვატორია ორი მტრადი	15.00



# ბალანჩინის შესრულება – დიდი გამოცდა გაბრიელ პოპუასთვის!

საბალეტო სასწავლებელში გაბრიელ გოგუამ მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა მისვლა, რომ მისი და – ნინო აქ შეიყვანეს და მარტო სწავლის გაგრძელება არ ისურვა. მაშინ მას გაცნობიერებული არ ჰქონდა, რომ ბალეტი მის ცხოვრებაში ასე შემოიჭრებოდა. ახლა კი ეს სამყარო მისთვის ძალიან ახლობელია და ცხოვრების მთავარ საქმედ ექცა (ამას როგორც მამას, მოცეკვავე – აბესალომ გოგუას, ასევე პედაგოგებს – ლანა აბულაძესა და ლევან ხითარაიანს უმაღლის).

ქორეოგრაფიულ სასწავლებელში რამდენიმე პა-დე-დე უკვე ჰქონდა შესრულებული და 2003 წელს კორეობალეტში მიიღეს. კარგად ახსოვს დებიუტი დიდ სცენაზე – ყანჩელის „დიპლომატი“ შეასრულა, რომელიც გოგი ალექსიძემ დადგა. მას შემდეგ გაგას რეპერტუარი სახასიათო პარტიებით იზრდება. ამაში ძალიან ეხმარები ის, რომ ბავშვობაში ქართულ ცეკვებზე დადიოდა. გრძნობს, რომ ეს კარგად გამოსდის: ალანში („ამაო სიფრთხილე“) ბავშვობის მოგონებებს აცოცხლებს, პაკი („ზაფხულის ღამის სიზმარი“) შესასრულებლად რთულია, მაგრამ იმპროვიზაციის მეტ საშუალებას აძლევს, მასხარას („რომეო და ჯულიეტა“) მოახლოებული ტრაგედიის წინ მხიარული განწყობა შემოაქვს... მაგრამ, ბალანჩინის ქორეოგრაფიამ მის შინაგან სამყაროში ბევრი რამ შეცვალა. თავდაპირველად, „ტარანტელა“ ნინო ანანიაშვილს აჩვენა; მან მისცა შანსი სცენაზე ეცეკვა იგი. გაგას შესრულება, ბალანჩინის ამ ჰიტადექტულ დუეტში ტექნიკურად გამართული და თავისთავადი იმპროვიზაციითაა გამორჩეული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამან საფუძველი მისცა დასის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას – გაგასთვის ბალანჩინის კიდევ ერთ შედეგში, „დონიცეტი-ვარიაციებში“, სოლო პარტის შესრულება მიენდოთ. ახალგაზრდა მოცეკვავისათვის ეს სერიოზული პასუხისმგებლობაა. წელსვე ამ ერთმოქმედებიან ბალეტში იგი დონეცკში, XIII საერთაშორისო საბალეტო ფესტივალზე, წარსდგა მაყურებლის წინაშე. ამ გასტროლებმა და საერთოდ, ბოლო სამი სეზონის მუშაობამ თეატრში, გაგა ოპტიმისტურად განაწყობა. იგი ახალ პარტიას ამზადებს საპრემიერო სპექტაკლში – „ორი მტრედი“, სადაც პატარა ბოზა ბიჭს იცეკვებს.



## ბანჩინი 2006 წლის ბოლომდე

### ნომბერი

4	პრემიერა	კონსერვატორია ორი მტრედი	19.00
5	პრემიერა	კონსერვატორია ორი მტრედი	15.00
10		ბელახის ტაა	19.00
11		ბელახის ტაა	19.00
12		ბელახის ტაა	15.00

17	ბალანჩინის   პროგრამა	19.00
18	ბალანჩინის   პროგრამა	19.00
19	ბალანჩინის   პროგრამა	15.00
25	რომეო და ჯულიეტა	19.00
26	რომეო და ჯულიეტა	19.00
29	რომეო და ჯულიეტა	19.00
30	რომეო და ჯულიეტა	19.00



ბალეტის მეგობართა საზოგადოება

FRIENDS OF THE  
GEORGIAN  
BALLET

ოქროს წრე:

ჯონ ფ. ტეფტი, მარიელა ს. ტეფტი, დონალ მაკლარენი, მეიდა მაკლარენი, მარკ ჰაუფი, ლილი ჰაუფი, ბადრი პატარკაციშვილი, ინა გუდაგაძე, სარა ვილიამსონი, გიორგი ჭირაქაძე, ფადი ასლი, ია ფარულავა, რონალდ ს. მაგნუმ, იოუნგსუკ ჰ. მაგნუმ, ირინა ხომერიკი, ვახტანგ ანანიაშვილი, ვირჯინია მინგესი, ნენსი პენდარვის პარისი, ჯუდი ტისენი, ჯუმბერ ბერაძე, გრიგოლ ვაშაძე, თამუნა მოსაშვილი-შეფარდნაძე, დომინიკ ტეცგორი, გუ პინგი.

მერცხლის წრე:

ტერეზა გიბსონი, მარკ კირბი.

ბრინჯაოს წრე:

ელდარ შენგელაია, ნელი შენგელაია, ინა ბადაჩი, ჩარლზ ბადაჩი, გერი ქოები, ფატი ზადიშვილი, სტეფანი სტრაუსერი, ნინო სვანაძე, ცირა ჭელიძე, ლიკა საღარაძე, ნათია შათირიშვილი, დებორა მილერი, ქართლოს კანკაძე, ლია მაჭავარიანი, ვალერი დევისი, სილვა აკოპიანი, ჟანა აჯემიანი, ფრანსისკო. ჰანაველი, სნეჟანა საზდიკ, ლევან ბაქრაძე, ჯონ ელისი.

სეზონის ბოლოს კლუბის წევრები და საბალეტო დასის წარმომადგენლები დანიის სამეფო ბალეტის სამხავტრო ხელმძღვანელს ფრენკ ანდერსს შეხვდნენ, რომელიც თბილისში ბურნონვილის „კონსერვატორიის“ დადგმას ახორციელებს. ფრენკ ანდერსმა ისაუბრა აუგუსტ ბურნონვილის ქორეოგრაფიის სტილისა და თავისებურებების შესახებ, დამსწრეთ აჩვენა ფრაგმენტები ბურნონვილის ბალეტებიდან, რომელიც 2005 წელს სპეციალურად აღადგინეს ბურნონვილის ფესტივალისათვის.



ფრენკ ანდერსი

„რომეო და ჯულიეტას“ პრემიერის წინ, 19 მაისს, კლუბის წევრებმა შეხვედრა მოუწყვეს დამდგმელ ქორეოგრაფს მიხეილ ლავროვსკის, დირიჟორ რობერტ კოულსა და განათების მხატვარს ჯონ რიდს. ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები სპექტაკლებიდან, სადაც მთავარ პარტიებს მიხეილ ლავროვსკი ასრულებდა. სტუმრებმა უპასუხეს კლუბის წევრთა შეკითხვებს. საბალეტო დასის ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა მაღლობა გადაუხადა დამდგმელ ჯგუფს თანამშრომლობისათვის და პრემიერაზე მოინვიო სტუმრები და კლუბის წევრები.

155-ე სეზონის გახსნის დღეს მუშაობა განაახლა ბალეტის მეგობართა საზოგადოებამ, რომლის პირველ შეკრებაზე კლუბს ახალი წევრები შეემატნენ. ნინო ანანიაშვილმა საზოგადოების წევრებს მაღლობა გადაუხადა და ამ სეზონშიც საინტერესო პრემიერებს დაჰპირდა.



ბალეტის მოყვარულთა კლუბის წევრებმა გადაწყვიტეს მზრუნველობა გაუწიონ ქორეოგრაფიული სასწავლებლის I კლასის მოსწავლეს, 5 წლის მელორ ქოქაშვილს, რომელსაც სურს გახდეს ბალეტის ვარსკვლავი. პატარა აღსაზრდელმა საჯაროდ მიმართა მშობლებს: „ნუ გრცხვენიათ, გამოუშვით თქვენი შვილები ბალეტზე!“. საბალეტო დასი და „არაბესკი“ წარმატებებს უსურვებს მომავალ მოცეკვავეს.

ბალეტის მეგობართა აზრით:

**მეიდა მაკლარენი** (დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მეუღლე): „ბალეტის მეგობართა საზოგადოების არსებობა გამოცდილი პრაქტიკაა. ინგლისშიც ისევე თანაუგრძნობენ და უყვართ ბალეტი, როგორც საქართველოში. ამიტომაც არაა გასაოცარი, ჩვენ დავეხმაროთ ქართულ ბალეტს. როცა დრო მაქვს, მე და ჩემი მეუღლე ვესწრებით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებს, ზოგჯერ შვილებთან ერთადაც. როცა საშუალება მექნება ყოველთვის დავეხმარები ქართულ ბალეტს, რადგან ის მართლაც არაჩვეულებრივი წარმატების ღირსია“.

**მარიელა ტეფტი** (აშშ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მეუღლე): „ხშირად ვსტუმრობ ამ თეატრს და მიხდება, რომ ქართული ბალეტი უფრო მეტად იყოს პოპულარული. მით უფრო, რომ მას არაჩვეულებრივი, მსოფლიო დონის ხელოვანი ნინო ანანიაშვილი ხელმძღვანელობს. „ბალეტის მეგობართა საზოგადოების“ წევრები, ვეცდებით, ვიყოთ მისი ერთგულები და მონაწილეობა მივიღოთ მის ფინანსურ კეთილდღეობაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოპულარობისა და აღიარებისათვის“.

**გელა ჩარკვიანი** (საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთში): „ნამდვილად მოულოდნელი იყო ქართული ბალეტის ასეთი წარმატებები. ვუყურებ „რომეო და ჯულიეტას“ და ვფიქრობ, ეს ქართული ბალეტის სინამდვილეში ხდება?! მექმნება შთაბეჭდილება, რომ მანჭეტენის რომელიმე, ასევე ცნობილი, საბალეტო დასის ნამუშევარს ვუყურებ; ბედნიერი ვარ, როგორც მაყურებელი და როგორც მამა, რომლის შვილიც ამ თეატრში მოღვაწეობს“.

